

2
958

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ნახ. ა. ბანძელაძისა

ქვემოთა
ლიტონია



— გიხაროდეს, თედო, შენ ხომ 15 წელია, რაც ამ ნარგავებსა და ყვავილებსა რწყავ, სახელმწიფო პენსიების ახალი კანონით განუწყვეტელი მუშაობისათვის 10% -ით მოგემატება პენსია.
 — ვერა, ძმაო, აბა როგორ უნდა მემუშავნა განუწყვეტლივ, როდესაც წყალი თვეობით წუდება ხოლმე.

საქართველო

ამხანაგო ნიანგო!
ვიულ ვერნი რომ
ცოცხალი იყოს, ჩვენს
საბინაო თემაზე ნამ-

ხმა „დაკარგული კუნძული“

ახლა რკინიგზის
სამმართველოს მიმდარ-
თეთ, მაგრამ თქვენ
სხვაგვარად მოგვიქა-

დილ ფანტასტიკურ რომანს დასწერდა და, ალბათ, სა-
ხელადაც „დაკარგულ კუნძულს“ დაარქმევდა. მაგრამ ფან-
ტასტიკად ნუ ჩასთვლი ჩვენს კუნძულს, ესე იგი თბილისში
მდებარე საყვირის ქუჩას, რაძლის № 2-ში ოდესღაც შუშას
აღნობდნენ, ხოლო ამჟამად 23 ოჯახის მცხოვრებთა მრავალ-
ტანჯულ გულებს აღნობენ და ფერფლავენ!

ვინ აღნობსო, ალბათ, იკითხავ! ჰოდა, შენ გადღეგრძე-
ლა, შენს მეტს ჯერ გულთან არავის მიუტანია ჩვენი გასა-
ჭირი. მაშ მოგვისმინე:

1950 წელს კოლექტივიზაციის ქუჩაზე (№ 3) ხანძარმა
გაანადგურა ა/კ რკ. გზ. საბინაო სამმართველოს კუთვნილი
სახლი, რომელშიც ჩვენ ცხოვრობდით. სამმართველომ დროე-
ბით შეგვასახლა საყვირის ქუჩაზე (№ 2) მდებარე შენობაში.
ეს იყო გაუქმებული შუშის ქარხანა. შენობა საცხოვრებლად
არ ვარგოდა, უბრალო გზაც კი არ ჰქონდა, ჭერი არ გააჩნდა
და იატაკი, მაგრამ რკ. გზ. სამმართველომ ცოტა ცრემლები
შემოგვაწია, შემდეგ რაღაცნაირად მიაკეთ-მოაკეთა, „დროე-
ბით“ თავი შეგვაფარებინა და ვარგისს ბინას დაგვიბრდა.

გავიდა სამი წელი, ბინის მხრივ საშველი არსაიდან
აღმოგვიჩნდა, მაგრამ ახალი პატრონი კი გამოგვიჩნდა: ჩვენი
ნაქარხნალი „ბინები“ ერთ სიმპათიურ „მშენს“ გადაეცა. ვი-
ფიქრეთ გვეშველაო, მაგრამ სწორედ იმ დღიდან ვაიუშვე-
ლებელში ჩავცვივდით.

— რაო?— შეიცხადეს „მშენის“ მუშაკებმა, — ბინები შე-
გიკეთოთო? ჩვენ არც საბინაო სამმართველო ვართ და არც
„ბინმშენი“, ჩვენ მდგმურების მოვლა სულ არ გვევალება და
რაც უფრო მალე აიბარგებით აქედან, მით უკეთესი იქნებაო.

რაგმეს:

— თქვენი კეთილი მოგონება ნუ მოგვიშალავს, მაგრამ
თქვენს ბინასთან უკვე საერთო აღარაფერი გვაქვს, ის ნაქარ-
ხნალი ბალანსიდან ჩამოგვეწერა და რაც უფრო მალე ჩამოგ-
ვშორდებით, მით უკეთესი იქნებაო!

— კი, მაგრამ, გზა, ჭერი, შუქი, წყალი ხომ გვჭირდება?!
ჩვენც ადამიანები ვართ!— შევახსენეთ ჩვენს „გამჩუქებლებს“.

— ეგ ჩვენ აღარ გვეხება, მიმართეთ რაისაბჭოს, —
განგვიმარტეს.

მიემართეთ. რაისაბჭომ თბილისის აღმასკომზე მიგ-
ვითითა, ხოლო იმან ბიუჯეტის უქონლობაზე, საქმე ზემდგომ
ორგანოებში მოხვდა, მოსკოვში გადაინაცვლა, რედაქციები
მოინახულა, მიწერ-მოწერა გაიმართა და ჩვენი „დაკარგული
კუნძულის“ შესახებ ტომები გაჩნდა.

წლები ისევ გადის, ნიანგო, ჩვენს პატრონობაზე ყველამ
ხელი აიღო, ის ნაქარხნალი „ბინებიც“ აღარ ვარგა, მისას-
ვლელი გზაც კი არა გვაქვს, შუქი არა გვაქვს (ის „მშენის“,
„ობოზნიციონერებმა“ გადაგვიჭრეს, ეგები თავიდან მოგვეწყდნენ-
ნო!), ელემენტარული პირობები არა გვაქვს, ვართ ასე „უბა-
ლანსოდ“ დარჩენილები და უდანაშაულოდ ვიტანჯებით. ერთ
საიდუმლოებასაც გავიმხელთ: ჩვენ ბინის ქირასაც კი არ
ვიხდით და ამ შუა თბილისში „დაკარგული კუნძულის“ და-
კარგულ მოქალაქეებად გვაქციეს.

სხვა რა დაგვრჩენია, ნიანგო, ისევ შენ უნდა შემოგე-
ვედროთ: იქნებ დაგვეხმარო უდანაშაულო მდგმურებს თბი-
ლისის მცხოვრებთა ელემენტარული უფლების მოპოვებაში
და ჩვენს „კუნძულთან“ გზის გაყვანა მაინც გვიშუამდგომლო!

კუნძულები

გაღრმავალი აღიარება

- გადაწყდა! გავცილდები ცოლს და შენზე დავქორწინდები, ჩემო ქეთინო!
- რას ამბობ, რიჩარდ, მე არ შემიძლია სხვის უბედურებაზე ავაგო საკუთარი ბედნიერება.
- ფიქრი ნუ გაქვს, არც შენ იქნები ჩემს ხელში ბედნიერი...



ნახ. გ. ლოლობიძე



3 მაისს სახელმწიფო თეატრისა და ბალეტის თეატრში ზეიმით ჩატარდა სესილია თაყაიშვილის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

— ვფიცავ დედა მელომენას
და ჩემს შემოქმედებას,
თქვენი ტაში სიხარულის
ხანძარივით მედება.

და მეც ტაშით მსურს რომ შეგხვდეთ,
ო, გფარავდეთ ვრცელი ცა,
ვინც სცენაზე გამიძელით
ამ ოცდაათ წელიწადს.

და ნუ მერტვას სესილია,
თუ სიბერემ გამლახოს,
თუ ოთხმოცი წლისთავზედაც
კვლავ ჩემს როლში არ მნახოთ!



56

უფროსი მუხა

ცეცხლი და მუხა

ცეცხლო, მით უფრო ხარ შენ ძლიერი,
რაც უფრო მრავალ ხეს მოედები;
მუხავ, რაც უფრო მრავალს მოედე,
უფრო ნაკლები გვყავს პოეტები.

კლავიატურა

მომწონს შენი შრომა, მაგრამ მის
სათაურს
ვერ გავუგე, ვისია და სადაური,
რადგან, მახსოვს, ამ შედეგის პირველ
ავტორს
ჰქონდა მისთვის რალაც სულ სხვა
სათაური.

ვინ არის დამნაშავე?

არსად მიიღეს—სად არ ეცადა!
უთხრეს: „არ ვარგა ლექსი ლექსადა!“
და შეეხიზნა ისევ ესტრადას.

ახალგაზრდა ავტორს

შენი დრო მიაქვს ოცნებას. ბედითს—
როდის შეგიმკონ თავი დაფნებით.



ზოგიერთ დოცენტს

ამ დოცენტის მთავარ შრომას
მე ვაცხადებ ამოკრიფად.
რაც სხვადასხვა წიგნებიდან
მოთმინებით ამოკრიფა,



სჯობდა ლექსებზე გეფიქრა მეტი,
და დიდებაზე უფრო ნაკლები.

დაჭრა. შეკრა, ყდაში ჩასვა,
ჩასწერა და გადასწერა...
ყველამ თქვა. რომ დოცენტია.
და არავის არა სჯერა!



დიდობი ბაღის იქით და აქეთ

- ციალა, გამოეთრიე აქეთ, შე მაიმუნო!
- ნუ გეშინია, შვილო, შენ არ გეუბნება.

ქათამთა მკვლელები

ჩემს საწერ მაგიდაზე არ დევს პიტეკანტროფის თავის ქალა, არც ჰაიდელბერგელის ყბა; ზოგიერთი უღირსი ადამიანის საქციელმა მაიძულა ხელი მომეკიდა მაიმუნის წარმოშობის რთული საკითხისათვის და დავმდგარიყავი იმ თვალსაზრისზე, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

შუადღეა, ბაზართან ვდგავარ, უცებ მესმის ღრიალი: — „მეც მახუთრავს თააავზე ნამუსისის ქუთუდი...“ გავიხედე, რალაც ადამიანისმაგვარი დავინახე. ნამუსისის ქუთუდი არა—ქუთუდი საერთოდ არ ეხურა, საშინლად ივინებოდა, დაოთხილი მოდიოდა, ქოჩრით ქუჩას მოხვეტავდა და თან მეეზოვის მადლიერ ღიმილს იმსახურებდა. ხალხი შეგროვდა, ყველაზე გვიან მილიციელი მოვიდა:

- რაშია საქმე?
- მთვრალი კაცია.
- კაცი კი არა, მაიმუნია!

მთვრალი საოცრად გავდა დაოთხილ მაიმუნს, აზრი გამინათდა. ხომ ჰგავს ეს კაცი მაიმუნს? ხომ უწოდეს მას მაიმუნი? და თუ მაიმუნია, ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაიმუნი ზოგიერთი ადამიანისგან წარმოიშობა? ეს კითხვები დიდხანს მაწვალებდა, მაგრამ გამხელას ვერ ვბედავდი, ხოლო ზოგიერთ ადამიანზე დაკვირვებას გულდასმით განვაგრძობდი, მასალა თანდათან გროვდებოდა და ფაქტები უტყუარი ხდებოდნენ.

- ტრამვაიში ვართ, სივიწროვება.
- ბიჭიკო, ფრთხილად, ფეხს ნუ მახიჯებ!
- გიჟია, ტო, მე დაგახიჯე?
- მაშ მე დაეიბიჯე?
- აბა შენა ხარ და...
- როგორ ბედავ, მაიმუნო, ქალს ასე ელაპარაკო!— ჩაერია საქმეში ვარეშე პირი. ნულარ გამოვეკიდებით იმ ფაქტს, თუ როგორ უპასუხა ყმაწვილმა:
- მაიმუნიც ხარ და ბეგემოტიც, წინ დაიხედე, რამე

არ დაგივარდეს, სხვის საქმეში ნუ ერევი.
მთავარია ის, რომ ყმაწვილს მაიმუნი უწოდეს.

ამ ყმაწვილის მშობლები რომ მაიმუნები არ იყვნენ, ამაზე არ ვდავობ, მაგრამ ვილაც უცნობმა მათ შერეულ მსგავსება აღმოაჩინა მაიმუნთან, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნი კი არა, პირდაპირ მაიმუნი უწოდა. ეს ფაქტიც ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობდა.

კინოში ვარ, იქაც სივიწროვება. ვილაც ბიჭს ვემუდარები: — გენაცვალე, დამსვი ჩემს ადგილზე! — მოკეტე და გაიარე. — როგორ, მოვკეტო და გავიარო, ჩემი ადგილია. ადმინისტრატორ!!! ადმინისტრატორი მოვიდა. — თქვენი ბილეთი! — ბიჭი დაიმანჭა, დაიგრიხა და გაიღმიჭა. — რას იღმიჭები მაიმუნით, დაუთმე მოქალაქეს მისი ადგილი.

ბიჭი ადგა, ენა ვაღმომიგდო და მთელ დარბაზში იღრიალა: — ჩიტაა! — ააა! — მოისმა იმავე ხმაზე მესამე იარუსიდან. — ზახრუმაა! ადგილი არის შენთან, რომ მოვმსევდე? — ვინა ხარ? — ტარზანა ვარ! — მომსევდი!

— სად არის ადმინისტრაცია, რომ ეს მაიმუნები გააძეოს! — ახმაურდა ხალხი. ამის შემდეგ ზოგიერთი ადამიანისაგან მაიმუნის წარმოშობა ჩემთვის უდავო ხდებოდა.

ქუჩაში მოდის: აპრეხილწამწამ, ამოქნილწარბ, შეღებულტუჩ, შეღესილოყა, პუდრმიყრილ, დახვეულთმა, გაჭრილკაბა, დიდსაკვიაყ, ფეხზე ნიანგისტყავ, ფრჩხილზე მანიკურ, მხარზე მელა, ყურზე პეპელა, თავზე ქოთან, წელზე გველშემოხვეული გოგონა—მამრობითი სქესისათვის დამახასიათებელი ყველა მსგავსი ატრიბუტის მქონე ვაჟის თანხლებით.

- გვეყო მაიმუნობა, რომეო, დროა ხელი მოვაწეროთ!
- ვეჩნი რუჩკა მეორე პიჯაკში დამრჩა, ხვალისათვის გადავდოთ.

აქ კი აშკარა გამარჯვებას მივალწიე, როგორც მკვლევარმა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვითალიარებასთან. გოგონამ თუმცა სინანულით, მაგრამ შეგნებულად აღიარა, რომ ის და მისი პარტნიორი მაიმუნები არიან.

კიდევ ერთი მაგალითი: ოთახში შემოვიდა დაღვრემილი ვაჟკაცი.

- კიდევ ორიანა მიიღე, მოგიკდეს დედა?—ვაჟმა თავი დახარა. მამამ გაზეთი გადადო, რაც შეიძლება მკაცრი გამომეტყველება მიიღო, ამოიღო უბიდან ორი ათასი მანეთი, მიაყარა თვალეში შეიღეს და იღრიალა: — აიღე ეს ფული, მოხიკე შენი თხილამურები და დაიკარგე ბაკურიანში, შენი ბურღლა არ დავინახო ჩემს ოჯახში. შენს ლექტორს კი მე მოვუვლი!
- ნახეთ გაისათ როგორ ვისწავლი!—დაემუქრა შვილი.
- ენახოთ!—დაემუქრა მამა. შვილი გავიდა.
- ისე, ნიჭიერი კია, ლექტორები რომ არ აფერხებდნენ.—თქვა მამამ.
- შემოვევლე.—თქვა დედამ.
- სულ მთლად გაამაიმუნეთ!—თქვა მამიდამ.

აქ შეიძლება ცალკე თავად გამოგვეყო საკითხი „მშობლების როლი ადამიანის გამაიმუნების საქმეში“, მაგრამ ეს რთული საკითხია და ცალკე დამუშავებას მოითხოვს. ყოველივე ამის შემდეგ მე თავს უფლებას ვაძლევ დავამტკიცო, რომ გარკვეულ პირობებში გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება ადამიანისაგან წარმოიშვას მაიმუნი და ამას არ ჭირდება მილიარდი წლები. მიუხედავად ჩემს შრომაში განვითარებული აზრისა, არ არის გამორიცხული, რომ ამ მაიმუნებიდან ევოლუციის გზით კვლავ წარმოიშვას ადამიანი, რასაც მე სულით და გულით მივესალმები.

ბავშვური უშუალოება

ოჯახის წევრები და სადილად დაპატივე-
ბული სტუმარი მაგიდას მიუსხდნენ. უეცრად
დიასახლისმა შეამჩნია მეტად სერიოზული
შეცდომა:

— ბეტი, — მიმართა მან თავის პატარა
ქალიშვილს, — რა დაგემართა? რატომ არ მი-
ართვი მისტერ უაიტს დანა-ჩანგალი?

— მეგონა, არ დასჭირდებოდა, — უპასუ-
ხა ბეტიმ, — მამამ თქვა, მისტერ უაიტი ცხე-
ნივით ჭამსო.

უზრისძიება

დილის ოთხ საათზე პროფესორის ოთახ-
ში ტელეფონმა დარეკა. მოისმა ქალის აღმ-
ფოთებული ხმა:

— თქვენი ძალღი ყვეს და ვეღარ დამი-
ძინია!

პროფესორმა იკითხა, თუ ვისთან ჰქონდა
პატივი ლაპარაკისა.

მეორე ღამეს, ზუსტად ოთხ საათზე მისი
თანამოსაუბრე ქალის ოთახში ტელეფონი
აწკარუნდა:

— ქალბატონო, — უთხრა პროფესორმა, —
მე ძალღი არა მყავს.

აუცდენლად

ერთ-ერთი გაზეთის რეპორტიორს ინ-
ტერვიუ ჰქონდა კაცთან, რომელსაც უზუს-
ტესი მსროლელის სახელი გაუვარდა. ყველ-
გან — ხეებზე, ღობეებზე, კედლებზე — ეკიდა
ბის სამიზნოები ზედ დახაზული წრეებით, და
ყოველი წრე შიგ ცენტრში იყო გახვრეტილი.

— როგორ აღწევთ თქვენ ასეთ შესანიშ-
ნავ შედეგებს?

— ეს ადვილზე ადვილი საქმეა — ჯერ
ვისვრი და წრეს მერე ვავლებ.



— ერთი, თუ ძმა ხარ, შენი საყვირი მათხოვე, „ხაზინს“ დაფუძახო,
თორემ ხომ ხედავ, აქ სიგნალის მიცემა შოფრებს აკრძალული გვაქვს.

177 56
9/11



ნახატი ა. კანდელაკისა

თემა ნ. ღუმბაძისა

რედაქტორი — ვახტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი,
ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი «ნიანგი». რედაქციის მისამართი: რუსთაველის ქრობპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 10, ხელმოწ. დასაბ. 31/V-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5.
შეკვ. № 556. უფ. 04599. ტირ. 25.000.

ნიანგმა თავისი რენტგენით გააშუქა სხვადასხვა კით დაავადებული ადამიანები და ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის გული ხასიათისა და მიდრეკილებების მიხედვით იცდის რთულ დეფორმაციას. ქვემოთ ვაქვეყნებთ ვიერთი ავადმყოფის გულის რენტგენურ სურათს:

1. ხულიგნის გული
2. „სტილნი ბიჭის“ გული
3. ლამაზმანის გული
4. ბიუროკრატის გული
5. ცილისმწამებლის გული
6. ცხოვრებას ჩამორჩენილი მხატვრის გული
7. ფეხბურთის მოყვარულის გული
8. პურ-მარილის მოყვარულის გული.

